მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„მოძრაობა
სახელმწიფო
ხალხისთვის"

# საარჩევნო ბლოკი
# პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის
# წ ე ს დ ე ბ ა

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1.1 საარჩევნო ბლოკის სახელწოდება: პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის.

1.2 საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებით საარჩევნო ბლოკი გამოიყენებს პ/გ მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის ბეჭედს და ბლანკს.

1.3 საარჩევნო მიზნებისთვის ბლოკი გამოიყენებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 119-ე მუხლით და ცესკოს N60/2016 წლის დადგენილებით განსაზღვრულ პოლიტიკური გაერთიანება - ახალი მემარჯვენეებისთვის მინიჭებულ საარჩევნო ნომერ - 1.

1.4 საარჩევნო ბლოკის მისამართია ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 150.

## მუხლი 2. საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიები - ბლოკის სუბიექტები:

2.1 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის;

2.2 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო;

2.3 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - ახალი მემარჯვენეები.

## მუხლი 3. საარჩევნო ბლოკის ხელმძრვანელი ორგანო:

3.1 საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი ორგანოა ბლოკის საბჭო (შემდგომში - საბჭო);

3.2 საბჭოს წევრები არიან ბლოკში შემავალი პარტიების თავმჯდომარეები.

## მუხლი 4. საარჩევნო ბლოკის საბჭოს უფლებამოსილება:

4.1 საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით, გარდა ამ წესდებით დადგენილი გამონაკლისისა;

4.2 ნიშნავს და ათავისუფლებს ბლოკის საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველს და ბუღალტერს;

4.3 ნიშნავს და გამოიწვევს საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლებს საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე;

4.4 ბლოკის წესდებაში ცვლილებების შეტანა ხდება საბჭოს წევრების სრული კონსესუსით.

მუხლი 5. საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი თანამდებობის პირები და მათი უფლებამოსილებები:

5.1 ბლოკის საბჭოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირები არიან:

ა) ბლოკის საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) ბლოკის საბჭოს გენერალური მდივანი.

ბლოკის საბჭოს თავმჯდომარეა - ბურჭულაძე პაატა, მცხოვრები:

5.2 ბლოკის საბჭოს გენერალური მდივანია - ვაშაძე გიორგი, მცხოვრები:

5.3 საბჭოს თავმჯდომარეს უფლებამოსილებები:

ა) იწვევს და თავმჯდომარეობს ბლოკის საბჭოს სხდომებს და განსაზღვრავს ბლოკის საბჭოს სხდომების დღის წესრიგს;

ბ) წარმოადგენს ბლოკს საარჩევნო პროცესის განმავლობაში და უფლებამოსილია გააკეთოს განცხადებები ბლოკის სახელით;

გ) ხელს აწერს საარჩევნო ბლოკის დოკუმენტაციას, გარდა ამ წესდებით დადგენილი გამონაკლისისა;

დ) შეიტანოს საჩივრები საარჩევნო კომისიაში და სარჩელები სასამართლოში საარჩევნო ბლოკის სახელით;

ე) მიანიჭოს რწმუნება საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლებს სასამართლოში;

ვ) წარმოადგინოს საარჩევნო ბლოკი მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ზ) განახორციელოს საქართველოს საარჩევნო კოდექსითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები, გარდა ამ წესდებით გათვალისწინებული გამონაკლისისა.

5.4 საბჭოს გენერალური მდივანის უფლებამოსილებები:

ა) თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის უფლებამოსილებებს;

ბ) ასრულებს ბლოკის საბჭოს მიერ მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;

გ) უზრუნველყოფს საბჭოს გადაწყვეტილებათა აღსრულებას.

მუხლი 6. საარჩევნო ბლოკში ახალი წევრის მიღება, გასვლა და გარიცხვა

6.1 საარჩევნო ბლოკში ახალი პარტიის მიღება ხდება საბჭოს წევრების სრული კონსესუსით;
6.2 საარჩევნო ბლოკიდან პარტიის გარიცხვა ხდება საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით;
6.3 ბლოკის წევრ პარტიას შეუძლია ნებაყოფლობით გავიდეს ბლოკიდან წერილობითი განცხადების საფუძველზე.

მუხლი 7. ბლოკის მიერ პარლამენტის კანდიდატთა წარდგენის წესი

7.1 საარჩევნო ბლოკი საბჭოში შემავალი ყველა წევრის ხელმოწერით წარუდგენს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატებს - პარტიული სიას და მაჟორიტარებს;
7.2 საარჩევნო ბლოკი საბჭოს თავმჯდომარის და გენერალური მდივნის ხელმოწერით უფლებამოსილია მოითხოვოს წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატების რეგისტრაციის გაუქმება;
7.3 საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიების თავმჯდომარეებს უფლება აქვთ ამოიღონ საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი პარლამენტის წევრობის კანდიდატთა სიიდან მხოლოდ საკუთარი პარტიის კანდიდატები საქართველოს საარჩევნო კოდექსის 115-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 8. წესდება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

პ/გ მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის

თავმჯდომარე ____ ___ პაატა ბურჭულაძე

პ/გ სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო

ხელმძღვანელი ___ გიორგი ვაშაძე

პ/გ ახალი მემარჯვენეები

თავმჯდომარე ____ ___ მამუკა კაციტაძე

თბილისი, 23 აგვისტო 2016

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის"

# საარჩევნო ბლოკი
# პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის
# წ ე ს დ ე ბ ა

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1.1 საარჩევნო ბლოკის სახელწოდება: პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის.

1.2 საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებით საარჩევნო ბლოკი გამოიყენებს პ/გ მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის ბეჭედს და ბლანკს.

1.3 საარჩევნო მიზნებისთვის ბლოკი გამოიყენებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 119-ე მუხლით და ცესკოს N60/2016 წლის დადგენილებით განსაზღვრულ პოლიტიკური გაერთიანება - ახალი მემარჯვენეებისთვის მინიჭებულ საარჩევნო ნომერ - 1.

1.4 საარჩევნო ბლოკის მისამართია ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 150.

## მუხლი 2. საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიები - ბლოკის სუბიექტები:

2.1 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის;

2.2 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო;

2.3 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - ახალი მემარჯვენეები.

## მუხლი 3. საარჩევნო ბლოკის ხელმძრვანელი ორგანო:

3.1 საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი ორგანოა ბლოკის საბჭო (შემდგომში - საბჭო);

3.2 საბჭოს წევრები არიან ბლოკში შემავალი პარტიების თავმჯდომარეები.

## მუხლი 4. საარჩევნო ბლოკის საბჭოს უფლებამოსილება:

4.1 საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით, გარდა ამ წესდებით დადგენილი გამონაკლისისა;

4.2 ნიშნავს და ათავისუფლებს ბლოკის საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველს და ბუღალტერს;
4.3 ნიშნავს და გამოიწვევს საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლებს საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე;
4.4 ბლოკის წესდებაში ცვლილებების შეტანა ხდება საბჭოს წევრების სრული კონსესუსით.

მუხლი 5. საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი თანამდებობის პირები და მათი უფლებამოსილებები:

5.1 ბლოკის საბჭოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირები არიან:
ა) ბლოკის საბჭოს თავმჯდომარე;
ბ) ბლოკის საბჭოს გენერალური მდივანი.
ბლოკის საბჭოს თავმჯდომარეა - ბურჭულაძე პაატა, მცხოვრები:

5.2 ბლოკის საბჭოს გენერალური მდივანია - ვაშაძე გიორგი, მცხოვრები:

5.3 საბჭოს თავმჯდომარეს უფლებამოსილებები:
ა) იწვევს და თავმჯდომარეობს ბლოკის საბჭოს სხდომებს და განმსაზღვრავს ბლოკის საბჭოს სხდომების დღის წესრიგს;
ბ) წარმოადგენს ბლოკს საარჩევნო პროცესის განმავლობაში და უფლებამოსილია გააკეთოს განცხადებები ბლოკის სახელით;
გ) ხელს აწერს საარჩევნო ბლოკის დოკუმენტაციას, გარდა ამ წესდებით დადგენილი გამონაკლისისა;
დ) შეიტანოს საჩივრები საარჩევნო კომისიაში და სარჩელები სასამართლოში საარჩევნო ბლოკის სახელით;
ე) მიანიჭოს რწმუნება საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლებს სასამართლოში;
ვ) წარმოადგინოს საარჩევნო ბლოკი მესამე პირებთან ურთიერთობაში;
ზ) განახორციელოს საქართველოს საარჩევნო კოდექსითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები, გარდა ამ წესდებით გათვალისწინებული გამონაკლისისა.
5.4 საბჭოს გენერალური მდივანის უფლებამოსილებები:
ა) თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის უფლებამოსილებებს;
ბ) ასრულებს ბლოკის საბჭოს მიერ მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;
გ) უზრუნველყოფს საბჭოს გადაწყვეტილებათა აღსრულებას.

მუხლი 6. საარჩევნო ბლოკში ახალი წევრის მიღება, გასვლა და გარიცხვა

6.1 საარჩევნო ბლოკში ახალი პარტიის მიღება ხდება საბჭოს წევრების სრული კონსესუსით;

6.2 საარჩევნო ბლოკიდან პარტიის გარიცხვა ხდება საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით;

6.3 ბლოკის წევრ პარტიას შეუძლია ნებაყოფლობით გავიდეს ბლოკიდან წერილობითი განცხადების საფუძველზე.

მუხლი 7. ბლოკის მიერ პარლამენტის კანდიდატთა წარდგენის წესი

7.1 საარჩევნო ბლოკი საბჭოში შემავალი ყველა წევრის ხელმოწერით წარუდგენს აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიას აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებს - პარტიული სიას და მაჟორიტარებს;

7.2 საარჩევნო ბლოკი საბჭოში შემავალი ყველა წევრის ხელმოწერით უფლებამოსილია მოითხოვოს წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატების რეგისტრაციის გაუქმება;

7.3 საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიების თავმჯდომარეებს უფლება აქვთ ამოიღონ საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატთა სიიდან მხოლოდ საკუთარი პარტიის კანდიდატები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ 39-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 8. წესდება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

პ/გ მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის

თავმჯდომარე ____ _ პაატა ბურჭულაძე

პ/გ სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო

ხელმძღვანელი ______ გიორგი ვაშაძე

პ/გ ახალი მემარჯვენეები

თავმჯდომარე _______ მამუკა კაციტაძე

თბილისი, 23 აგვისტო 2016